# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 144

„10“ ოქტომბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის და სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2014 წლის 1 სექტემბრის N07/11202 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ მოთხოვნა და სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, აკადემქალაქის მიმდებარედ არსებული 3526 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.10.13.040.089).

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე      გიორგი ალიბეგაშვილი